



***** ფ ა ს ი *****
კერძო პირთათვის 15 კაპეიკი.
სახელმწიფო დაწესებულ. 10 კაპ.

პროლეტარებო ეველს ქვეყნისა, შეერთდით!

წალიწალი
მისამე

მთაბე

ხუთშაბათი,
10 მაისი,
1923 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 50

ეოველ კვირეული ორგანო.

№ 50

ქურნალ „მთაბე“-ს რედაქციისაგან.

ეველს ხელის მოძურთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საუურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ყურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

ეველს ხელის მოძურთი ვალდაბულია გადაიხადოს მათეა დარჩენილი ხელის მოძურთის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოასკოგათ ქურნალის გზავნა.

ეოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—30.000 მანეთი.

დოკუმენტების დაპარგვის შესახებ დასაგეჭადი განცხადებების ფასი 100.000 მანეთი.

ყურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.



რედაქცია ღიჲა დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 8—59.

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი

გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

დადგენილება № 35.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის ხმარების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. მარტის 15 თარიღითა და 18 №-ით გამოცემული ბრძანების დასამატებლად და განსავითარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის ხმარების უფლება აქვს:

ა) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისარიატს, ყველა სახალხო კომისარიატს, მათ ცენტრალურ სამმართველოებს (ან ამ უკანასკნელთა თანასწორ განყოფილებას), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისარიატს საბჭოსთან დამოუკიდებლად არსებულ დაწესებულებას და სახალხო ბანკს;

ბ) რესპუბლიკებისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და მათი სახალხო კომისარიატების სრულუფლებიან წარმომადგენლობას;

გ) მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტსა და მის დამოუკიდებელ განყოფილებას;

დ) რევოლიუციონურ ტრიბუნალს, სახალხო სასამართლოს, სახალხო მოსამართლეთა საბჭოს, პროკურორს, გამომძიებელს, ნოტარიუსს, სასამართლო აღმასრულებელს, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას, სახელმწიფო სასწავლებელს, სასინჯ დაწესებულებას, ზოგისა და წონის პალატას და სახალხო ბანკის ადგილობრივ განყოფილებას;

ე) ცალკე სამხედრო ერთეულს და მის შესაფერ შტაბს, სამმართველოს და დაწესებულებას, რომლის უფროსსაც მინიჭებული აქვს უფლება არა უმცირეს პოლკის უფროსისა;

ვ) თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

2. სახელმწიფო ღერბიანი ბეჭედი შეიძლება დამზადებულ იქნეს ტფილისში—მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ნებართვით და ადგილობრივ-კი (პროვინციაში) აღმასრულებელი კომიტეტის შინაგანი მმართველობის განყოფილების ნებართვით. ყველა ამ დაწესებულებამ უნდა სისწორით აღნუსხოს ბეჭდის დასამზადებლად გაცემული ნებართვა.

3. ნებართვა სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის დასამზადებლად გაცემულ უნდა იქნეს 1 მუხლის

ა და ბ პუნქტში აღნიშნული დაწესებულებებისათვის მხოლოდ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისარიატსა და საბჭოს თავმჯდომარისა, მათი მოადგილისა ან მდივნის მოთხოვნით; სათანადო რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა ან მდივნისა და სათანადო ცენტრალური დაწესებულების სათავეში მდგომი პირისა ან მისი მოადგილის მოთხოვნით; 1 მუხლის „გ“ და „ე“ პუნქტში აღნიშნული დაწესებულებისათვის—სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოთხოვნით, ხოლო იმავე მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტში აღნიშნული დაწესებულებისათვის სათანადო დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანოს მოთხოვნით. ამასთანავე სამხედრო ერთეულისა და სამხედრო უწყების დაწესებულების ბეჭდის დასამზადებლად საქაროა წინასწარი ვიზა კავკასიის ცალკე არმიის განსაკუთრებული განყოფილებისა.

4. სახარატო (საგრავიორო) სახელოსნო აწარმოებს ცალკე დავთარს შეკვეთილი სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდების ჩასაწერად და ამ დავთარში შეინახავს ყველა სათანადო გასამართლებელ საბუთს.

5. ყველა თანამდებობის პირი და დაწესებულება, რომელსაც ამა დადგენილების ძალით ნება არა აქვს იხმარონ სახელმწიფო ღერბიანი ბეჭედი, ვალდებულია ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, წარუდგინოს ყველა, რაც კი მას მოეპოება, სახელმწიფო ღერბიანი ბეჭედი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მოსასპობად.

6. დავთარს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ორი თვის განმავლობაში შეადგინოს სია ყველა უწყების იმ დაწესებულებებისა, განყოფილებებისა და თანამდებობის პირთა, რომელთაც, ამა დადგენილების თანახმად, უფლება ეძლევათ სახელმწიფო ღერბიანი ბეჭედი იხმარონ, აგრეთვე შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია ბეჭდის ხმარებისა, შენახვისა და მოსპობის წესის შესახებ, აგრეთვე ბეჭდის დამზადებისათვის ნებართვის გაცემისა და შეკვეთილი ბეჭდის დამზადების წესის შესახებ და საამისოდ სახარატო (საგრავიორო) სახელოსნოს მიერ ანგარიშების წარმოების შესახებ.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

3. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 10. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 37.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. სახალხო კომისარიატისა

სახამართლოს და პროკურატურის მომუშავეთა დატუსაღების წესის შესახებ.

იუსტიციის ორგანოთა ავტორიტეტის განსამტკიცებლად და სათანადო სიმართლზე დასამყარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატისა საბჭო აღდგენს:

1. ხელისუფლების არც ერთ ორგანოს არ შეუძლიან დაატუსაღოს პროკურორი, ტრიბუნალის თუ სახალხო მოსამართლეთა საბჭოს თავმჯდომარე თვინიერ რესპუბლიკის პროკურორის წინასწარი ნებადართვისა; ხოლო პროკურორის თანაშემწე, რევოლიუციონური ტრიბუნალისა და სახალხო მოსამართლე და გამომძიებელი—თვინიერ უზენაესი ტრიბუნალის პროკურორისა ან ოლქის პროკურორის — კუთვნილებსამებრ, — წინასწარი ნებადართვისა.

2. უაღრესად განსაკუთრებულ და გადაუდებელ შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლოს და პროკურატურის მომუშავე, რომელიც დასახელებულია ამა დადგენილების 1-ლი მუხლში, დატუსაღებული იქნეს წინასწარ ნებადართვებედაც, ხოლო იმ პირობით კი, რომ დატუსაღება იმავე დროს ეცნობოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ საპროკურორო ზედამხედველობის სათანადო პირს.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატისა საბჭოს თავმჯდ. მოადგილე ს. გეგეჭკორი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი

1923 წ. აპრილის 13. ტფილისი — სასახლე.

სსს. კომისარიატის საბჭო

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატისა საბჭოსი.

საქართველოს საადგილმამულო ბანკებში და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული — საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე — სახლების გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღითა და 16 №-ით გამოცემული დეკრეტის შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატის საბჭო აღდგენს:

1. მე-16 №-ით გამოცემული დეკრეტის 1, 2, 4, 5 და 6 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგის რედაქციით:

მუხლი 1. — დაგირავებულ სახლზე არსებული ვალი, — გამოანგარიშებული ოქროს კურსის მიხედვით, — გადახდილი უნდა იქნეს მსესხებლის მიერ ხუთის წლის განმავლობაში, დაწყებული 1923 წლ. ივნისის 1-დან.

მუხ. 2. — ვალის რაოდენობა განისაზღვროს თავნი ვალის იმ ნაშთით, რაც ირიცხებოდა მსესხებელზე 1921 წ. ივნისის 30-ს. ამასთანავე:

ა. მე-3 მუხ. თანახმად გადასახდელი ვალი იმ სესხისა, რომელიც გაცემულია 1914 წ. სექტემბერი 1-დან 1917 წ. მარტის 1-დღე — მსოფლიო ომის დროს, — შემცირებულ უნდა იქნეს 20% და

ბ. თავნი ვალის რაოდენობა იმ სესხისა, რომელიც გაცემულია 1917 წლ. მარტის 1-დან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღემდე, — უნდა განისაზღვროს აღნიშნული 1921 წ. ივნისის 30-ს სესხის გაცემის ნახევარ — წლის პერიოდში არსებული ოქროს მანეთიანის საშუალო კურსის მიხედვით. ამ კურსს აწესებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში თვითეული ნახევარ — წლისათვის ცალკე.

მუხ. 4. უკეთეს მსესხებელს, — ქონების მდგომარეობისა და შემოკუსავლობის გამო, — არ ძალუძს ვალის გადახდა, ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში უფლება ეძლევა, — მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანხმობით, — შეამციროს ეს ვალი (მუხ. 2 და 3). ერთბაშად ან ცალკე თვითეული სანახევარწლო გადასახადი 50%-დღე, — იმისდამიუხედავად, როდის არის ქონება დაგირავებული.

მუხ. 5. გადასახადად აღრიცხული ვალი დაყოფილ უნდა იქნეს ათ ნაწილად. პირველი ნაწილის გადახდის ვალად დაინიშნოს 1923 წ. ივნისის 1-ლი, მეორე ნაწილისა — 1923 წ. დეკემბრის 1-ლი და შემდეგ ამავე წესით.

მუხ. 6. უკეთუ მსესხებელი მოისურვებს — ვა-
დაძღვე გადაიხადოს მასზე მირიცხული ვალი (მუხ.
2, 3 და 4) — ეს ვალი შემცირებულ უნდა იქნეს
20 %-ით.

2., დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი
გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული
საქართველოში **ბ. ბიბინიშვილი.**

სახ. კომის. საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**
1923 წ. მარტის „30“, ტფილისი-სასახლე.

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალ-
ხო კომისართა საბჭოსი.

მატყლის მონოპოლიის გაუქმების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. ივნი-
სის 7 თარიღითა და მე-8 №-ით გამოცემული
დეკრეტით შემოღებული მონოპოლია მატყლის
ყიდვა — გაყიდვის, საზღვარგარედ გატანისა და რეა-
ლიზაციის შესახებ — გაუქმებული იქნეს.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი
გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბ-
ლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. მარტის 25.

დადგენილება № 81.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კო-
მისართა საბჭოსი.

საუწყებათა შორისო კომისიების სხდომების ექ-
სპერტთა და მონაწილეთა სასყიდლის შესახებ.

საუწყებათა შორისო კომისიების სხდომების ექ-
სპერტთა და მონაწილეთა სასყიდლის შესახებ არ-
სებულ დებულებების შესაცვლელად საქართველოს
სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბ-
ჭო ადგენს:

საფეტონო სასყიდლის მიცემა უწყებათა მიერ
არა სამუშაო დროს მოწვეული საუწყებათა შორისო
კომისიების სხდომებზე მონაწილეობისა და ექსპერ-
ტიზისათვის სწარმოებს შემდეგი წესით:

1. კომისიათა სხდომები იყოფა ჯგუფებად:

ა) ადმინისტრაციულ — სამეურნეო და ტეხ-
ნიკური

ბ) სამეცნიერო.

2. ჯგუფი „ა“-ს სხდომებისათვის სასყიდელი
განისაზღვრება საათობით სატარიფო ქსელის მე-14
კატეგორიის სასყიდლის ნორმის კვალობაზე სახელ-
მწიფო მინიმუმის მიხედვით; ამასთანავე სასყიდელი
უნდა გაიღოს იმ უწყებამ, რომელსაც სხდომა მო-
უწვევია.

3. ჯგუფი „ბ“-ს სხდომებისათვის სასყიდელი
განისაზღვრება სატარიფო ქსელის მე-17 კატეგო-
რიის სასყიდლის ნორმით და სწარმოებს ამა დად-
გენილების მე-2 მუხლის თანახმად.

4. იმ მოხსენების მომზადებისათვის, რომე-
ლიც წარდგენილ იქნება წერილობით, მომხსენე-
ბელი მიიღებს ამა დადგენილების მე-2 და მე 3
მუხლში აღნიშნულ სასყიდელს ორკეცი რაოდე-
ნობით, იმისდამიუხედავად თუ რამდენი დრო დას-
ჭირდა მას მოხსენების შესადგენად.

5. ექსპერტი, რომელიც თავის დასკვნას იძ-
ლევა ცალკე საკითხების შესახებ და მომხსენებელი,
რომელსაც განსაკუთრებული მომზადება არ დასჭი-
რებია; მიიღებს სასყიდელს კომისიის ჩვეულებრივ
წევრთა თანაბრად.

6. სასყიდელი გაიღება ნამდვილი დროისათვის,
რაც დასჭირდა სხდომას, მაგრამ არა უმეტეს, ვიდ-
რე სამი საათისათვის.

7. სამუშაო დროს მოწვეულ კომისიების სხდო-
მებისათვის სასყიდელი არ გაიღება.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან
მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლი-
კის სახალხო კომისართა საბჭოს თავ-
მჯდომარე **შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს
მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. მარტის 3. ტფილისი — სასახლე.

დადგენილება № 82.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. ლხო
კომისართა საბჭოსი.

საშუალო და დაბალი სასოფლო — სამეურნეო
სასწავლებლების დებულებების შემოღების შე-
სახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალ-
ხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს მთელ საქართველოს მიწ-
წყალზე შემდეგი დებულება საქართველოს სოც.
საბჭ. რესპუბლიკის საშუალო და დაბალი სასოფლო-
სამეურნეო სასწავლებლების შესახებ.

1. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა ქსელს,
ესე იგი ამ სასწავლებელთა დაარსებას, შენახვას და
გაუქმებას, აგრეთვე მოსწავლეთა რიცხვს განსაზ-



ღვრავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო დამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

2. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა პედაგოგიური პერსონალის შენახვა სწარმოებს განათლების სახალხო კომისარიატის აღრიცხვით

3. ტექნიკური პერსონალის შენახვა და სასოფლო მეურნეობის სპეციალურ საგნებში პრაქტიკული მეცადინეობისათვის დამატებითი ხარჯის გაღება სწარმოებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

4. სამეურნეო საოპერაციო ხარჯების გასტუმრება მოხდება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

5. საერთო სამეცნიერო-საპედაგოგიო ხელმძღვანელობას, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა მასწავლებლების დანიშნას და გადაყვან-გადმოყვანას აწარმოებს, მიწათმოქმედების კომისარიატთან შეთანხმებით, განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო.

6. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა გამგებს ასახელებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი. სასწავლო ნაწილში გამგენი ემორჩილებიან განათლების სახალხო კომისარიატს, ხოლო სამეურნეო ნაწილში—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

7. მოწყობა პრაქტიკული მეცნიერობისა, მოკლე ვადიანი სპეციალური კურსებისა, ლექციებისა და სკოლის გარეშე მთელი მუშაობისა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად რჩება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და სწარმოებს მისი აღრიცხვით, განათლების სახალხო კომისართან შეთანხმებით.

8. ამა დებულების განსამარტებლად განათლების სახალხო კომისარიატს ევალება, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა სახელმძღვანელოდ.

11. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის ივნისის 28 თარიღით და 46 ნომრით გამოცემული დეკრეტის ის ნაწილი, რომელიც ამ დადგენილებას არ ეთანხმება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10. ტფილისი — სასახლე.

დადგენილება 83

საქართველოს სოც. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ვინაობის წიგნაკების შემადგენის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა და აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეთა პირადობის შესამოწმებლად შემოღებულ იქნეს ვინაობის წიგნაკები ამა დადგენილებასთან ერთად დამტკიცებული ფორმისა.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა მოქალაქე მოვალეა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების დროს თან იქონიოს ვინაობის წიგნაკი.

ტფილისის, ქუთაისის, ფოთის და ბათუმის მცხოვრებნი მოვალენი არიან წიგნაკები იქონიონ ამ ქალაქებში ყოფნის დროსაც.

3. მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ჩაითვლება მაზრა ან მაზრიდან გამოყოფილი ქალაქი (ტფილისი, ფოთი), რომელთანაც მოქალაქე დაკავშირებულია: ქონებით, ოჯახით, სამსახურით ან სასწავლებლით, ხელობით, ვაჭრობით და სხვ.

4. ვინაობის წიგნაკის მიღება შეიძლება მხოლოდ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

5. ვინაობის წიგნაკი მიეცემა ყველა სრულწლოვან მოქალაქეს; ერთ წიგნაკში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ქმარი, ცოლი და წიგნაკის პატრონის ოჯახის არასრულწლოვანი წევრი.

6. უვადო წიგნაკი მიეცემა მხოლოდ იმას, ვინც თავისუფალია სახედრო ბეგარით გაწვევისაგან, ან ვისაც ეს ბეგარა მოხდილი აქვს; ხოლო ვადიანი წიგნაკი—ყველა დანარჩენს.

უკანასკნელ შემთხვევაში წიგნაკის ვადა არ უნდა გადასცილდეს იმ დროს, რა დროსაც წიგნაკის პატრონი მოვალეა სახედრო ბეგარის მოსახდელად გამოცხადდეს.

7) ვინაობის წიგნაკების დამზადება დაევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მისი განკარგულებით და კონტროლით წიგნაკები უნდა დაეგზავნათ სათანადო ორგანიზაციებს მთლად რესპუბლიკაში.

8. ვინაობის წიგნაკის გაცემის დროს მის მიმღებს უნდა გადახდეს წიგნაკის დამზადებისათვის გაწეული ხარჯი.

9. ამა დადგენილების განსავითარებლად და განსამარტებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

10. ვინაობის წიგნაკების გაცემა დაწყებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი თვისა ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

11. ვინაობის წიგნაკების გაცემის შემდეგ ძალას ჰკარგავს ყოველგვარი პასპორტი და პირადობის დამამტკიცებელი სხვა საბუთი; ხოლო სამსახურის მოწმობა და მანდატი სახელმწიფო,

საზოგადო და პარტიული ორგანიზაციების მოსამ-
სახურეთა—საცხოვრებელ საბუთად არ გამოდგება.

12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან
მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავ-
მჯდომარე შ. ელიავა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
აღ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება 84.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კო-
მისართა საბჭოსი—1923 წელში შრომისა და
შარავზით ტვირთზიდვის ხარკის გატარების
წესის შესახებ.

საქართველოს რევ. კომიტეტის №-90 №-რის დეკრეტის
შესაბუთებლად სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1923 წლის პირველ იანვრიდან რესპუბლი-
კის ქალაქებში და სოფლად შრომისა და შარავზით
ტვირთზიდვის ხარკი აკრეფილ იქნეს მხოლოდ
ფულად.

2. ფულად შეცვლილი შრომისა და შარავზით
ტვირთზიდვის ხარკი შეეწეროს ყველა შრომის
უნარიან მამაკაცს 18—50 წლამდე და მუშა
საქონლის (ხარისა, კამეჩისა, ცხენისა, ჯორისა და
ვირის) მებატონეთ.

3. შრომისა და შარავზით ტვირთზიდვის ხარკის
ფულადი შენაცვალის რაოდენობა განისაზღვროს
წელიწადში ექვსი სამუშაო დღის ღირებულებად.

შენიშვნა: სამუშაო დღის ღირებულებას
დააწესებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო
კომისარის რწმუნებული საქართველოში.

4. განთავისუფლება შრომისა და შარავზით
ტვირთზიდვის ხარკისაგან მოხდება ამიერკავკასიის
ფინანსთა და შრომის სახალხო კომისარიატების
რწმუნებულთა (საქართველოში) დადგენილებით.

5. მუშა-ხელისა და შარავზით ტვირთზიდვის
საშუალებათა ნატურით სამუშაოზე გამოყვანა შეი-
ძლება მარტოდენ სტიქიურა უბედურების სალიკ-
ვიდაციოდ (როგორც არის: ხანძარი, წყალდიდობა,
თოვლის ზეავი და ნამკერი, სამხედრო მოქმედება
და სხვა ამგვარი შემთხვევა). ეს მუშაობა სწარმოებს
შრომისა და შარავზით ტვირთზიდვის მეგარის
წესით, თვინიერ შრომისა და შარავზით ტვირთზიდვის

ხარკის ნორმისა, თანახმად შრომის კანონთა კო-
დექსის მე-11-ე მუხლისა.

6. შრომისა და შარავზით ტვირთზიდვის ხარკის
ფულად შეცვლის განხორციელება დაევალება
ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის
რწმუნებულს საქართველოში და მის ადგილობრივ
ორგანოებს, ხოლო შრომისა და შარავზით ტვირთ-
ზიდვის მეგარის გატარება, თანახმად ამა დადგე-
ნილების მე-5-ე მუხლისა, დაევალება ამიერკავკასიის
შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სა-
ქართველოში და მის ადგილობრივ ორგანოებს,
სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მონა-
წილეობით.

7. ამა დადგენილების თანახმად შრომისა და
შარავზით ტვირთზიდვის ხარკის გატარების საქმე
გამოიყოს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომი-
სარიატის რწმუნებულის (საქართველოში) გამგებ-
ლობიდან და გადაეცეს ამიერკავკასიის ფინანსთა
სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართვე-
ლოში.

8. ამიერკავკასიის ფინანსთა და შრომის სა-
ხალხო კომისარიატების რწმუნებულთა საქართვე-
ლოში დაევალებათ გადასინჯონ ერთად შთლად
კანონმდებლობა შრომისა და შარავზით ტვირთ-
ზიდვის ხარკის შესახებ სათანადო ცვლილებების
შესატანად ამა დადგენილების მიხედვით.

9. ამა დადგენილების განხორციელებისა და
განვითარებისათვის ამიერკავკასიის ფინანსთა სა-
ხალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში
უფლება ეძლევა გამოსცეს სათანადო დადგენილე-
ბანი, ცირკულიარები და ინსტრუქციები.

10. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან
მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კო-
მისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
აღ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება 85.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კო-
მისართა საბჭოსი.

ყველა საპატიმრო ადგილის შინაგან საქმეთა
სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის
შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სა-
ხალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა საპატიმრო ადგილი და მათი სამმარ-
თველო გამოყოფილ იქნეს იუსტიციის სახალხო



კომისარიატის გამგებლობიდან და გადაეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობას.

2. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილება და მისი ადგილობრივი ორგანოები გადაკეთდეს საპატიმრო ადგილების მთავარ და ადგილობრივ სამმართველოებად—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან.

3. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოებს დაეტოვებათ ყოველი უფლება ზედამხედველობისა საპატიმრო ადგილებში პატიმართა დამწყვდევის მართლკანონიერების მეთვალყურეობისათვის—მთლად იმ ფარგალში, რაც გათვალისწინებულია სახალხო სასამართლოს და პროკურატურის დებულებებით.

4. დასჯის პოლიტიკის საერთო პრინციპიალური საკითხების შესამუშავებლად, პენიტენციურ ღონისძიებათა და დანაშაულობასთან ბრძოლის საშუალებათა განსახორციელებლად—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან მოეწყოს პენიტენციული საბჭო,—იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან შემდგარი.

შენიშვნა: პენიტენციული საბჭოს სხდომებში,—ამათ გარდა,—სავალდებულოა საპროკურორო ზედამხედველობის პირის მონაწილეობა.

5. იუსტიციის სახალხო კომისარს,—შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან ერთად, —დაევალება შეიმუშაოს დებულება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ და შეიტანოს სათანადო ცვლილებანი საერთო საპატიმრო ადგილების დებულებაში.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარათა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახალხო კომისარათა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10.

დადგენილება № 87

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარათა საბჭოსი.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ ადგილობრივ გადასახადთა შესახებ 1922 წ. თებერვლის 5-ს გამოცემული დებულების ზოგიერთი მუხ. შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარათა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის მიერ ადგილობრივ გადასახადთა შესახებ 1922 წ. თებერვლის 5-ს გამოცემულ დებულების მუხლი მე-2 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„იმ ფულად საშუალებათა რაოდენობის განსაზღვრისათვის, რაც საბჭოებს დასჭირდებათ ადგილობრივი ხასიათის ხარჯების დასაფარავად (ნუსხა იმ ხარჯებისა, რაც დაფარულ უნდა იქნეს ადგილობრივი საშუალებით იხილე დამატებაში № 1), ქალაქისა და მაზრის საბჭო ვალდებულია შეადგინოს შემოსავალ-გასავლის ფინანსური აღრიცხვა წლიური და საკვარტალო, ანუ სამთვიური“.

2. მუხლი მე-3 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„წლიური აღრიცხვა უნდა შეიცავდეს ყველა შემოსავლსა და გასავალს მთელი წლის განმავლობაში, ხოლო საკვარტალო აღრიცხვა ყველა შემოსავალსა და გასავალს სამი თვის განმავლობაში. პირველ კვარტალში შედის: იანვარი, თებერვალი და მარტი, მეორეში—აპრილი, მაისი და ივნისი, მესამეში—ივლისი, აგვისტო და სექტემბერი, მეოთხეში—ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი“.

3. მუხლი მე-3 გაუქმებულ იქნეს სრულიად.

4. მე-7 მუხლს დაემატოს თავში:

„როგორც წლიურს, ისე საკვარტალოს“.

5. მუხლი მე-9 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ქალაქისა და მაზრის წლიური და საკვარტალო აღრიცხვა უნდა წარედგინოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის განყოფილებას, რომელიც როდესაც დაამტკიცებს მის საუწყებათაშორისო კომისიაში განხილვის შემდეგ. ადგილობრივ ორგანოს უფლება ეძლევა განსაჩივროს კომისიის დადგენილება სახალხო კომისარათა საბჭოში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე კომისიის დადგენილება ძალაში რჩება“.

6. მუხლი მე-10 გაუქმებული იქნეს სრულიად.

საქა. სოც. საბჭ. რესპუბ. სახ. კომის.

საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ბ. ბიბინიშვილი.

სახ. კომისარათა საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 10. ტფილისი—სასახლე.

ბ რ ქ ა ნ ე ბ ა № 7.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარტა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წ. თებერვლის 24 ს თარიღითა და 150 ნომრით გამოცემული დადგენილების თანახმად, დაწესებულია გადასახადი წყლის სარგებლობისათვის მიწების მოსარწყავად; ეს გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ხოლმე თვითეული წლის მაისის 1-დგ.

სასწრაფო სამელიორაცია მუშაობის სეზონის დაწყების გამო და არსებული სარწყავი ქსელების მოწესრიგებისა და განვითარებისათვის წინადადება გეძლევათ სასწრაფოთ შეუდგეთ ნარჩენის აკრეფას, როგორც გასული, ისე მიმდინარე წლისათვის იმ ანგარიშით, რომ მთელი გადასახადი აკრეფილ იქნეს არა უგვიანეს 1923 წლის მაისის 1-სა. მცხოვრებთა შორის სასურსათო რესურსების ნაკლებობის გამო, გადასახადის აკრეფა უნდა მოხდეს ფულად სიმინდისა და ხორბლის ფასების ანგარიშით იმ მომენტში, როცა შეტანილი უნდა ყოფილიყო აღნიშნული წყლის გადასახადი.

ზემოაღნიშნული 150 ნომრის დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად, გადასახადი სარწყავი წყლისათვის შეტანილ უნდა ყოფილიყო ხოლმე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში, ხოლო რადგანაც აღნიშნულ უწყებათა ფუნქციები წყალის მეურნეობის სფეროში გაერთიანებულ იქნა და გადაეცა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს, — ამის გამო წინადადება გეძლევათ ზემოხსენებული გადასახადი სარწყავი წყალის სარგებლობისათვის შეტანილ იქნეს ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში. ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო მისცემს თავის ადგილობრივ ორგანოებს ინსტრუქციას გადასახადის შესახებ წყალის სარგებლობისათვის და, აგრეთვე, ინსტრუქციას წყალის მოსარგებლეთა მიერ შესრულებულ სამელიორაციაო სამუშაოთა ღირებულების ანგარიშში ჩასათვლელად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარტა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახალხო კომისარტა საბჭოს
მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 20.

ტფილისი — სასახლე.

შინაგან საქმ. სახ. კომის.

დადგენილება.

ქუთაისის მაზრის აღმინისტრ. დაყოფის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განიხილა რა ნუსხა ქუთაისის მაზრის აღმინისტრატულ ერთეულებათ დაყოფისა, გამოგზავნილი ამავე მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, დაადგინა:

1) ნუსხა ქუთაისის მაზრის აღმინისტრატულ ერთეულებათ (თემებათ) დაყოფისა დამტკიცდეს შემდეგ შესწორებათა შეტანით:

ა) გულეკარის თემიდან გამორიცხულ იქმნას სოფ. გელეიკარი, რომელიც კომისარიატის ა/წ. 20 ნომბრის დადგენილებით მიწერილ იქმნა სენაკის მაზრაზე და ბ) ნუსხიდან რაიონები, როგორც აღმინისტრატული ერთეულები, გამორიცხულ უნდა იქმნას, ვინაიდან ეს ტიპი აღმინისტრატულ ერთეულთა მთავრობის ა/წ. 1-ლ იანვრის დადგენილებით (№ 122) გაუქმებულია და

2) პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, ქუთაისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს და ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამმართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ს. მილიციო, საერთო და საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას, აგრეთვე რედაქცია „მოამბე“-ს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია

ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

აღმ. გადმ. საკთ. შესახებ კონსულტანტი
გრ. გველესიანი.

1 დეკემბერი, 1922 წ.

სირკულიარულად

ყელა სამაზრო და საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეებს.

რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ფინანსთა უწყების საგადასახადო ასპარეზის გაფართოვება და როგორც პირდაპირი ისე არა პირდაპირი გადასახადების ნორმის გადიდება.

ამ მოსაზრებით ამიერ-კავკასიის კომისარტა საბჭოს მიერ 10 თებერვლის დეკრეტით მომატებული იქმნა სააქციო გადასახადები და დაბეგრული დღემდე დაუბეგრავი პროდუქტები.

უნდა აღინიშნოს, რომ სააქციო გადასახა-

დის გადაშდელათ დღემდე მხოლოდ ქალაქის მცხოვრებლებია, ხოლო სოფელს ეს გადასახადი თითქმის არ ეხება—მიუხედავად ამისა, რომ სოფლად არის ისეთი წარმოება, რომელსაც ფარულად აწარმოებს ყველა სოფელი და ადგილობრივი ხელისუფლება კი სახელმწიფოსათვის ამ საზიანო საქმეს ყურადღებასაც არ აქცევს. ეს წარმოება არის ხილის და ქაჭის არაყის და სპირტის გამოხდა.

გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, წინადადებას გაძლევთ რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციოთ ამ არანორმალურ მოვლენას და ყოველგვარი დახმარება გაუწიოთ არა პირდაპირი გადასახადთა (აქციზის) თანამშრომლებს და მათ აგენტებს ზოგიერთ შეუგნებელ სოფელელის მსგავს მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა.ლ. გეგეჭკორი

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

კომუნალ. განყ. გამგის მაგ. დეკანოზიშვილი.

27 მარტი, 1923 წ.

შირკულიარულად.

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომების თავმჯდომარეებს.

ტფილისში ჩამოსულ წასუხისმგებელ ამხანაგების ს.გ. კომისიაში სავალდ. გამოცხადების შეს.

თანახად საქართველოს საგანგებო კომისიის მომართვისა (ნ თებერვ. ა/წ. თარიღით და 1192 № ით) გვეალებათ ყველა პასუხისმგებელ თანამშრომლებს და პარტიული ამხანაგებს, რომელნიც ჩამოდიან ტფილისში სამსახურას გამო, აუცალკელებივ გამოკხადდნენ დავალებათა მისაღებათ საქარ. საგანგებო კომისიაში, სადაც უნდა შეამოწმოზინონ აგრეთვე თავისი მანდატები.

შ.ნ. საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე
ტალახაძე.

საქმეთა მმართველი ჩიქოვანი.

საინსტრ.-საინფ. განყ. გაზეე ანდრიაძე.

9 თებერვალი, 1923 წ.

შირკულიარულად

ყველა ქალაქისა და მაზრის აღმასკომების თავმჯდომარეს.

აპ. წლის 19 მარტის თარიღით № 2859/5101 ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულის


საქართველოში მომართვიდან სიანს, რომ ვინაიდან ფულის კურსის მერყეობის გამო რესპუბლიკის ფინანსიური ინტერესები მოითხოვენ გაწერონ სახელმწიფო გადასახადების დაუყოვნებლივ აკრფას, მათ წინადადება მიუციათ რაიონის საგადასახადო განყოფილებათა გამგეობისათვის, რათა მიიღონ ზომები, რომ მარტის დამლევამდე აკრფილ იქნეს მათდამი რწმუნებულ რაიონში ყველა სახელმწიფო გადასახადების ნარჩენები. გაცნობებთ რა ზემოხსენებულს წინადადებას გაძლევთ, თქვენის პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, ენერგიული ზომები მიიღოთ სახელმწიფო გადასახადის აკრფვის საქმეში და დახმარება აღმოუჩინოთ რაიონის საგადასახადო განყოფილებათა გამგეებს მილიციონერებისა და ხხვა, საშუალების დაუბრკოლებლად მიცემით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გაგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

კომუნალ. განყ. გამგის მაგ. დეკანოზიშვილი.

24 მარტი, 1923 წ.



შირკულიარულად.

ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტ ს თავმჯდომარეებს.

ჯარში გაწვეულ კომუნისტების სიების შესა'ებ.

ჩვენი ცირკულიარით ა/წ. თებერვლის 3 თარიღით 7/25 ით გთხოვდით საქართოთ გადმოგეზავნათ წითელ ჯარში მოზილიზაციით გაწვეულ კომუნისტების სიები: სახელის გვარის და თანამდებობის აღნიშვნით. ზოგიერთმა მაზრამ (მაგ. რაქის, თელავის, ახალციხის და თბილისის) გადმოგზავნა სიები მაგრამ მხოლოდ ან სახელის და გვარის აღნიშვნით, ან და სრული სია იმ კომუნისტებისა, რომელნიც გაწვეულნი არიან მთელს მაზრაში.

ამიტომ განმეორებით გთხოვთ სასწრაფოთ და აუცილებლად გადმოგზავნოთ წითელ ჯარში მოზილიზაციით გაწვეულ კომუნისტების სიები მხოლოდ სახელის, გვარის და თანამდებობის აღნიშვნით.

შ.ნ. საქ. სახ. კომისარი შ. ელიაშვილი.

საქმეთა მმართველის მოადგ. ცინცაძე.

საერთო განყ. უფროსი ა. ჩიქოვანი.

28 თებ. 1923 წ.

სირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს კომისარიატის ყველა განყოფ. გამგეებს.

დამატებით ჩვენი ცირკულიარისა ამა წლის თებერვლის 4-ის თარიღით 4/33 №-ით პასუხისმგებელ თანამშრომელთა და პარტიულ ამხანაგების თბილისში მოვლინების დროს საქართველოს საგანგებო კომისიაში დავალებების მისაღებად გამოცხადების შესახებ, ამით გაცნობებთ, რომ თბილისში მოვლინებულნი პარტიული ამხანაგები საგანგებო კომისიის გარდა უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სამდივნოში.

შინაგან საქმეთა სახ. კომის ა. გეგეჭკარი.

საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ცინცაძე.

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი.

8 მარტი, 1923 წ.

სირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს.

წითელ ჯვრის სასარგებლოდ 5% გადასახადის დაწესების შესახებ.

საქართველოს მთავრობის მიერ 1923 წლის 10 თებერვლის თარიღით გამოცემული დადგენილება № 79-ით, საქართველოს წითელი ჯვრის სასარგებლოდ დაწესებულია 5%-ანი გადასახადი ყველა თეატრის, კინოსა და სხვა ფასიანი საჯარო სანახევებსა, გასართობებსა და კრებების ბილეთებზე და აგრეთვე ლოტოს მოთამაშეთა მიერ მოგებულ თანხაზე.

გაცნობებთ რა ამას, წინადადება გეძლევათ გაცეთ განკარგულება თქვენდამი რწმუნებულ მაზრაში, რათა სისრულეში იქნას მოყვანილი ზემო აღნიშნული დადგენილება და მარკების სისტემის შემოღებამდე, გადასახადებიდან შემოსული თანხა მეორე დღესვე შეტანილ იქნეს ხაზინაში წითელი ჯვრის სასარგებლოდ სათანადო წესით ჩასარიცხად.

სახალხო კომისარი ა. გეგეჭკარი.

საქმეთა მმართველის მოადგ. ცინცაძე.

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი.

8 მარტი, 1923 წ.

სირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეებს.

სამეურნეო პერსონალის დაკმაყოფილების შესახებ.

როგორც ჯანმრთელობის სახალხო კომისიის ამხ. კუჭაიძის ამა წლის თებერვლის 26-ის თარიღით 7319 №-ით მომართვიდან სჩანს, ადგილობრივი აღმასკომები არ აკმაყოფილებენ საექიმო დაწესებულებების პირად შემადგენლობას, საექიმო პერსონალი თვეობით არ ღებულობს ჯამაგირს, სამკურნალოებს არა აქვთ მუდმივი ფინანსიური დახმარება და საერთოდ, საექიმო სასანიტარო საქმის სათანადო მოგვარება განიცდის დიდ შეფერხებას, რაც ცუდ გავლენას ახდენს მცხოვრებთა ჯანმრთელობის საკითხზე.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გეძლევათ ანგარიში გაუწიოთ ამ მდგომარეობას და შესაფერი ზომები მიიღოთ საექიმო დაწესებულებების და მათი პერსონალის დასაკმაყოფილებლად.

სათუქველი: ჯანმრთელობის კომისიის მომართვა 1923 წ. 26 თებერვლის № 7319.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკარი.

საქმეთა მმართველის მოადგ. ცინცაძე.

საერთო განყოფილების გსმგე ალ. ჩიქოვანი.

8 მარტი, 1923 წ.

სირკულიარი.

ყველა მაზრის, ქალაქების და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს.

თანახმად ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მომართვისა გაცნობებთ, რომ უკანასკნელი უკვე შეუდგა წინასწარ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო აღწერის მოსახდენად ზაფხულის თვეებში, რისთვისაც ძალიან საჭიროა წინასწარი ცნობები სოფლების და მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, ამისათვის გავალებთ დაკვირვითი წესით შეადგინოთ: 1) სია დასახლებული ადგილებისა თემობრივ და 2) სია მოსახლეთა თითო სოფელში, სიები უნდა შედგენილ იქნეს სათემო აღმასკომების მიერ ადგილობრივ წარმომადგენელთა დახმარებით, შედგენილი სიები უნდა გადაგზავნილ იქნეს ორ ცალად სამაზრო სტატ-ბიუროში.

ვინაიდან სას. — სამეურნეო აღწერას აქვს სახელმწიფობრივი მნიშვნელობა, გვეალებათ შეკრიბოთ სრული და სწორი ცნობები. თქვენი სამუშაო



უნდა შესრულებულ იქნას არა უგვიანეს ა/წ აპრილის ბოლო რიცხვებისა.

შინ. საქ. სახ. კომისრის მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მართველი დ. ჩიქოვანი

სიანფ. საინფ. განყ. გამგე გ. ანდრიაძე

12 აპრილი 1923 წ.

სირკულიარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მ. მ. ა. ჩ. ქვე-განყოფილებას.

ამიერ კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და კომისართა საბჭოთა ამა წლის 26 მარტის სხდომაზედ მიღებული და დამტკიცებულია საღერბო გადასახადის წესდება (იხ. „Заря Востока № 71). ამ წესდების 1 მუხ. ბ. წერტილთ გათვალისწინებულია გადახდეს ყველას ვისაც საბჭოთა დაწესებულებიდან და თანამდებობის პირის მიერ ეძლევათ მოწმობა სამოქილაქო მდგომარეობის შესახებ, გადახდეს 100.000 მანეთი საღერბო გადასახადი.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძღვეთ დღეის რიცხვიდან ყოველი თქვენ მიერ მიღებული თხოვნა დაბეგრით ასი ათასი (100.000) მან. საღერბო გადასახადით და ხუთი ათასი (5.000) მან. საკანცელარიო ბაჟით.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

სამოქ. მდგომ. განყ. გამგე გრიგოლია.

6 აპრილი 1923 წ.

სირკულიარულათ

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს, კომისარიატის ყველა განყოფილების გამგეებს.

დამატებით ჩვენი სირკულიარისა ა/წ. თებერვლის 4-ის თარიღით 4/33 №-ით პასუხის მგებელ თანამშრომელთა და პარტიული ამხანაგების თბილისში მოვლინების დროს საქართველოს საგანგებო კომისიაში დავლებების მისაღებად გამოცხადების შესახებ, ამით გაცნობებთ, რომ თბილისში მოვლინებულნი პარტიული ამხანაგები საგანგებო კომისიის გარდა უნდა გამოცხადდენ აგრეთვე საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სამდივნოში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველის მოადგილე ცინცაძე.

საერთო განყოფილების გამგე ა. ჩიქოვანი

8 აპრილი 1923 წ.

სირკულიარკი

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობებით, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, მიუხედავად შ. ს. ს. კომისარიატის სირკულიარული განმარტებებისა, (ადმინისტრაციული სასჯელის დადების შესახებ) აპატიმრებენ და სჯიან ადმინისტრაციული წესით იმ მოქალაქეებს, რომელთაც ბრალად სდებენ ცილის წამებას და წინასწარი შეცნობით ტყუილ დასმენას. იყო შემთხვევები, როცა მოქალაქის მიერ შინაგან საქ. სახალხო კომისარიატში შემოტანილი საჩივარი არა სწორ ცნობაზე იყო დამყარებული; ამის მიზეზი ხშირად მომჩივანის უცოდინარობა არის, ხშირად კი, პოროტი განზრახვა — სახელის გატეხა განსაჩივრებული პირისა. ამგვარ შემთხვევებში, როცა ირკვევა, რომ საჩივარი ყალბ ინფორმაციაზეა დამყარებული, ან როცა აღმასკომს მიაჩნია, რომ საჩივარი ცილის წამებას ან ყალბ ინფორმაციას შეიცავს, ადმინისტრაციული წესით სჯის იმ მოქ., რომელსაც ბრალად გარკვეულად სისხლის სამართლის ბრალი ედებათ.

ამის გამო საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ ასეთი დანაშაული გათვალისწინებულია საქართ. სისხლის სამართლის კოდექსში და ისჯება სასამართლოს წესით. სისხლის სამართლის კოდექსის მე-181 მუხლით „ცილისწამება, ესე იგი სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწბილებელი გარემოების განმარტება დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით 6 თვემდე“, გათვალისწინებულია აგრეთვე როგორც წინასწარი შეცნობით ტყუილი დასმენა ან ჩვენება, (მ. 186) ისე ტყუილი ცნობის მოთავსება სახალხო დაწესებულებისა ან თანამდებობის პირისადმი წარდგენილ განცხადებაში სას. დაწესებულების თუ თანამდებობის პირის მოქმედების შესახებ — რაც ისჯება თავისუფლების აღკვეცით ერთ წლამდე. (93 მუხ.) ამ გვარად ჩამოთვლილი დანაშაულები-სათვის დაწესებული სასჯელი ყოველთვის აღმატება იმ სასჯელს, რომელიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ წესით სასჯელის დადების შესახებ დადგენილებაში (№ 16 და № 30).

მოგაგონებთ რა ზემოაღნიშნულს სახელმძღვანელოთ გაფრთხილებთ, რომ ყოველ ასეთ შემთხვევაში ადმინისტრ. სასჯ დადება ჩაითვლება ხელისუფლების გადაჭარბებათ და თვითნებობად. წინადადება გეძლევათ ამ გვარ შემთხვევებში თავი შეიკავოთ სასამართლოს ფუნქციების მითვისებისაგან და თუ საჭიროდ დაინახავთ საქმე გადასცეთ სათანადო ორგანოს — სასამართლოს.

შინ. საქმ. სახ. კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ ჩიქოვანი.

საინფორ.-საინსტრ. განყ. გამგე გ. ანდრიაძე.

17 მარტი, 1923 წ.

შიკმულიარულად.

ყველა სამაზრო საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს.

ბექდვითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების კომისარიატში წარდგენის შესახებ.

როგორც ირკვევა განათლების სახალხო კომისარიატის მომართვიდან (25/11 1923 წლ. № 31) სისტემატიურად არა სრულდება საქართველოს რევკომის დეკრეტი № 93 („შინაგან“ № 30) რომლის 1-ლ მუხლის ძალითაც:

„ყველა სახელმწიფო თუ კერძო სტამბის, ლიტოგრაფიის, მეტალო-პლასტიკის და ყოველგვარი სასტამბო წარმოების გამგე თუ პატრონი ვალდებულია ბექდვითი სიტყვის ნაწარმოების 21 ცალი უფასოდ წარადგინოს განათლების კომისარიატში მათი განაწილებისათვის რესპუბლიკის მუზეუმსა, ბიბლიოტეკებისა და არქივებში შესანახად.“

გეძლევათ წინადადება, თუ თქვენს რაიონში მოიპოვება რაიმე სტამბა ან ლიტოგრაფია, თვალყური აღევნოთ ბექდვითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების კომისარიატში წარდგენის ვალდებულების ასრულებას, მასთანვე გევალებათ აიძულოთ მესტამბენი წარადგინონ ხსენებულ კომისარიატში დღემდე გამოსული ყველა ნაწარმოები.

შ.ნ. საქ. სახ. კომისარი ა. გეგეჭკორი

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინფ. საინსტრ. განყ. გამგე გ. ანდრიაძე.

19 მარტი, 1923 წ.

შიკმულიარულად.

ყველა აღმასკომების თავმჯდომარეებს და მილიციის უფროსებს.

განრიგებულ კრედიტების დანიშნულებსამებრ დახარჯვის შესახებ.

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებითა ა/წ. 22 თებერვლის თარიღით (ოქმი № 7) წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ს.ხელმძღვანელოდ და აღსასრულებლოდ, რათა თქვენს განკარგულებაში, ყველა და განსაკუთრებით კი — თანამშრომლების ჯამაგირებისათვის გადმოცემული თანხები იხარჯებოდეს პირდაპირ დანიშნულებისამებრ. აღნიშნულ წესისათვის თვალყურის დევნება გევალებათ თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

წესის დარღვევისათვის, თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებასა, დამნაშავენი მიიცივნიან პასუხისგებაში.

შინ. საქმ. სახ. კომისარი ა. გეგეჭკორი.

საქმეთი მმართველი დ. ჩიქოვანი.

მომარაგების უფროსი ირ. თაზიშვილი.

23 მარტი, 1923 წ.

შიკმულიარულად

ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს.

ამა წლის იანვრის 27-ის თარიღით №-ნ ით ჩვენ მიერ გადმოგზავნილი იყო ცირკულიარული განკარგულება, რათა სისრულეში მოგვეყვანათ საკონფლიქტო ორგანოთა ძალაში შესული დადგენილებანი, მაგრამ როგორც შრომის სახკომისარიატის მომართვიდან სჩანს ხსენებული განკარგულება ცხოვრებაში არ ტარდება.

ამის გამო წინადადებას გაძლევთ შრომის კომისარიატის საკონფლიქტო ორგანოთა ძალაში შესული დადგენილებანი დაუყონებლივ და გადაუხვევლად მოიყვანოთ სისრულეში.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარი ალ. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველის მაგ. ცინცაძე.

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი.

შიკმულიარულად.

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომების თავმჯდომარეებს.

საქართველოს საგანგებო კომისიაში გამოცხადების ვალდებულობის შესახებ.

როგორც საქართ. საგანგებო კომისიის მომართვიდან (ა. წ. 15/III № 2385) სჩანს პროვინციაში მივლინებული და მაზრებიდან ჩამოსული ამხანაგები არ ცხადდებიან ხსენებულ კომისიაში დავალებათა მისაღებად, თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ამა წლის 9 თებერვალს დაგზავნილ ცირკულიარისა. № 4/33)

განმეორებით გეძლევთ წინადადება გამოუცხადოთ ყველა პასუხისმგებელ თანამშრომლებს და პარტიულ ამხანაგებს, რომელნიც ჩამოდიან თბილისში სამსახურის გამო, აუცილებლივ გამოცხადდენ დავალებათა მისაღებად საქართვ. საგანგებო კომისიაში (ოთახი № 19), სადაც უნდა შეამოწმებინონ აგრეთვე თავის მანდატები. იგივე ევალებათ იმ ამხანაგებს, რომელნიც იგზავნიებიან ცენტრიდან მაზრებში სამუშაოდ.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისრის მაგიერ ტალახაძე.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

საინსტრუქ. საინფორმაციო განყოფილების გამგის მაგ. გ. ქარაველიშვილი.

5 აპრილი, 1923.

გრაჲანებუ № 28.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციისადმი.

თანახმად თელავის მაზრის მილიციის უფროსის შუამდგომლობისა ებრძანებ:

თელავის მაზრის მილიციის მილიციელთა შტატი გადიდებულ იქმნას 5 უფროსი და 10 უმცროსის მილეციელით ე. ი. 112 კაცამდე.

დუშეთის მაზრის მილიციელთა შტატი შემცირებული იქმნას ერთი უმცროსის და ოთხი უმცროსი მილიციელით ე. ი. 160 კაცამდე თიონეთის მაზრის მილიციის მილიციელთა შტატი შემცირებული იქნას ოთხი უფროსის და ექვსი უმცროსი მილიციელით ე. ი. 100 კაცამდე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გიგეჭკორი.

სამილიციო განყ. უფროსი გ. ქავთარაძე.

21 მარტი 2923 წ. ქ. ტფილისი.

დადგენილება.

შინ. საქ. სახ. კომისარიატმა, განიხილა რა შუამდგომლობა ზემო-ხოდაშენის და ქისტაურის (თელ. მაზ.) თემებისა მათი გაერთიანების და ერთ თემათ გამოცხადების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ ორი ზემოდ დასახელებული თემი დიდი მანძილით არ არის ერთმანეთისაგან დაშორებული და მაშასადამე ერთი თემის ხელისუფლებას, სრულიად უზიანოთ საქმისათვის, შეუძლიან გაუძღვეს გაერთიანებული თემების მმართველ-გამგეობას; ბ) რომ ამ ორ თემთა გაერთიანებას შეუძლია გამოიწვიოს ადგილობრივი ხელისუფლების პერსონალური შემადგენლობის გაუმჯობესობა; გ) რომ იგივე გარემოება რამდენიმეთ შეამცირებს სახელმწიფო ხაზინის ადგილობრივ ხარჯებს და დ) რომ თვით თელავის მაზრის აღმასრულ. კომიტეტი შუამდგომლობს ამ ორ თემთა გაერთიანების პროექტის დამტკიცებას, — დაადგინა: 1) შუამდგომლობა სოფ. ზემო-ხოდაშენის და ქისტაურის (თელ. მაზ.) თემების საბჭოთა ამ ორ თემთა გაერთიანების შესახებ დაკავშირებული იქმნას; 2) გაერთიანებულ თემებს „ზემო-ხოდაშენის თემი“ ეწოდოს და უკანასკნელის ადმინისტრაციულ ცენტრათ სოფ. ზემო-ხოდაშენი იქმნას აღიარებული და 3) პირი

ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, თელავის მაზრის აღმასრულ. კომიტეტს, ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახალთა სამმართველოს და შინ. საქ. სახ. კომისარიატის საინსტრ.-საინფორმაციო, საერთო, საფინანსო-სამეურნეო განყოფილებებს, აგრეთვე უურ. „მოამბე-ს რედაქციას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ალ. გიგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

აღმ. გად. საკითხთა შესახებ კონსულტანტი
გრ. გველესიანი.

9 თებერვალი, 1923 წ.

ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატებს, სამეურნეო ორგანიზაციებს და საზოგადოთ ყველა ინსპექციასთან ანგარიშვალდებულ დაწესებულებებს.

სირკულიარი.

ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატებს, სამეურნეო ორგანიზაციებს და საზოგადოთ ყველა ინსპექციასთან ანგარიშვალდებულ დაწესებულებებს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცნობით დაწესებულებებში ხშირად არის შემთხვევა, როდესაც ანგარიშვალდებული პირი თავის სურვილით ან იძულებით მიდის სამსახურიდან და მასზე რჩება გაუმართლებელი საგრძნობი თანხები და ანგარიშები.

შემდეგში ამ დაწესებულებებისათვის საძნელოდ ხდება ამ პირების მოძებნა და მისგან ანგარიშის მიღება, რის გამოც სახელმწიფო ნახულობს საგრძნობ ზარალს, რომ მომავალში ასეთი მოვლენა არ განქორდეს ინსპექცია წინადადებას აძლევს ყველა ანგარიშვალდებულ დაწესებულებებს გასცენ თავის უწყებისადმი განკარგულება, რათა სამსახურიდან მიმავალ პირთან მათ წასვლისთანავე იქმნეს გასწორებული ყოველგვარი ანგარიშები, რის შესახებ მათ ოფიციალური ცნობა უნდა ექმნესთ მიღებული სათანადო ბუჰალტერიიდან. უკიდურეს შემთხვევაში მათ უნდა ჩამოერთვას ხელწერილი, რომ არ წავლენ იმ ქალაქიდან ან ადგილიდან, სადაც ისინი მსახურებდნ მანამდის, სანამ მათთან არ იქნება გასწორებული ყოველგვარი ანგარიშები. მუშათა და გლეხთა ინსპექცია აფრთხილებს ანგარიშვალდებულ

ბულ დაწესებულებებს, რომ ის თავის რევიზიების დროს, დათხოვნილ თანამშრომლებზე დარჩენილ თანხებს ჩასთვლის, როგორც დაწესებულების დანაკლისს და მიიღებს მასზე დამოკიდებულ ყველა კანონიერ ზომებს ზარალის ასანაზღაურებლად.

ა/კ. მ/გ. ინსპ. კ-ტის რწმუნებული საქართველოში ალ. უოუიკაშვილი.

ღედანთან სწორია: უფროსი რევიზორი-ინსტრუქტორი პ. ჩახაია.

26 თებერვალი 1923 წ.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ზ ა ნ ი .

თანახმად საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის 1921 წ. № 28 დეკრეტის 62 პუნ. ზუგდიდის აღმასრულებელ კომიტეტის მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ქვე-განყოფილება აცხადებს, რომ ქვე-განყოფილებაში წ.წ. 18 სექტემბერს შემოვიდა განცხადება ბიძია მარტიშას ძე 70 წ., ვენატე ბიძიას ძე 40 წ., ილიარიონ ბიძიას ძე 37 წ., სერგისი ბიძიას ძე 27 წ., სულქანი ბიძიას ას. 34 წ., მიხეილ ვენატეს ძე 4 წ., თებრო ვენატეს ას. 11 წ., ვენატე ბუჩუნას ძე 48 წ., სოფია ბუჩუნის ას. 32 წ., ივანე ქაქუჩას ძე 85 წ. ბათლომე ივანეს ძე 32 წ., მეთოდე ივანეს ძე 27 წ., ევთიმე ივანეს ძე 25 წ., მინაკა ივანეს ასული 34 წ., ანასტასია ივანეს ასული 33 წ., ქსენია ივანეს ას. 23 წ., ცაკვია გაბრიელის ძე 75 წ. ბესარიონ ცაკვას ძე 27 წ., სოფია ცაკვას ას. 36 წ., ტერეზია ცაკვას ას. 34 წ. კესარია ცაკვას ას. 32 წ., ბარბალე ცაკვას ას. 23 წ., ვალერიანე ვენატეს ძე 13 წ., ამერანი ვენატეს ძე 3 წ., პისტი ვენატეს ას. 16 წ., ვერა ვენატეს ას. 6 წ., ტაგუ ბაგრატის ძე 70 წ., კალისტრატე ტაგუს ძე 34 წ., დავითი ტაგუს ძე 28 წ., ისაკი ტაგუს ძე 18 წ., მანანა ტაგუას ას. 31 წ., პარასკევა ტაგუას ას. 22 წ., ნიკოლოზი კიმოთეს ძე 10 წ., ამროზი კიმოთეს ძე 8 წ., მარიამი გვაჩიას ას. 31 წ., გუძა ლომიკიას ძე 75 წ., რომანოზ გუძას ძე 38 წ., ბაგრატი გუძას ძე 30 წ., სვიმონ ლუტუს ძე 45 წ., სტეფანე ლუტუს ძე 40 წ., კოკუ ლომიკიას ძე 75 წ., ისიდორე კუჭუს ძე 35 წ., თედორე კუჭუს ძე 31 წ., იაკობი ონისიმეს ძე 19 წ., მარია კუჭუს ას. 38 წ., მატრონა

კუჭუს ას. 37 წ., მინდორა კუჭუს ას. 33 წ., პეტრე გვატის ძე 54 წ., მიხა გვატის ძე 156 წ., ელისაბედი გვატის ას. 58 წ., ჯამუ გოგიას ძე 58 წ., ნესტორი ჯამუს ძე 23 წ., ლეონი ჯამუს ძე 21 წ., მინდორა ჯამუს ას. 19 წ., სალომე გოგიას ას. 47 წ., მაია გოგიას ას. 44 წ., ელისაბედი გოგიას ას. 42 წ., ძიკი პავლეს ძე 50 წ., აკაკი გიორგის ძე 30 წ., ციცილა გიორგის ას. 42 წ., დავინო გიორგის ას. 37., ანასტასია გიორგის ას. 27 წ., სქუნჩი გაბრიელის ძე 73 წ., ბეგლარი სქუნჩის ძე 39 წ., სამსონი სქუნჩის ძე 37 წ., ანტონ ბურდლუს ძე 49 წ., შალვა მათეს ძე 18 წ., ძიბა მათეს ას. 19 წ., ბარბარე ბურდლუს ას. 50 წ., ანნა ბურდლუს ას. 48 წ., ნიკო იოსების ძე 40 წ., ვასილი იოსეს ძე 34 წ., ელენა იოსების ას. 30 წ., შალიკო ძიკის ძე 2 წ., ქიონია ძიკის ას. 16 წ., თებრო ძიკის ას. 15 წ., ოლგა სამსონის ას. 4 წ., იოანა სტეფანეს ძე 9 წ., ფარსადანი სტეფანეს ძე 7 წ., კიქიკო სტეფანეს ძე 3 წ., გრიგოლი ჯამუს ძე 10 წ., ხარიტონ პეტრეს ძე 10 წ., ალექსანდრე ისიდორეს ძე 2 წ., ბეგო თედორეს ძე 3 წ., გრიგოლ სვიმონის ძე 16 წ., ბაგრატა სვიმონის ძე 14 წ., ნინო სვიმონის ას. 17 წ., ოლგა სვიმონის ას. 2 წ., გვითოლენდიების, რომ მათი გვარი გვითოლენდია შეცვლილ იქმნას—გაიგებრიაზე.

დაიპარგა მოწმობა შტატს-გარეწე დარჩენის შესახებ, № 498 მიღებული 1923 წ. 27 მარტს მილიციის მთავარ სამმართველოდან. (შ. ს. ს. კომისარიატიდან) გაიაზ კიჩიძეს ძე კაზდატაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 709 მიღებული 1908 წ. ვასილ ზეტრეს ძე ზაფაიევის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 4702 მიღებული 1923 წ. სომეხთა კონსისტორიიდან ქარანა ივანოვის ასულ მარმარევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 1243 მიღ. 1907 წ. ლეონ ივანოვის ძე მარმარევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული № 3303 მიღებული 1917 წ. სომეხთა კონსისტორიიდან მატეას ასატურას ძე სოკჩიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა პირადობის მოწმობა მიღებული ქ. მთავ. ანგლ. სამმ. № 442 1923 წ. ქ. მოწმობა მიღებული წმ. ნიკო. ეკლ. № 351 ბილეთი შრომის ბირჟიდ. მოცემულ № 12 გაიაზ კირ. კაზდატაძის სახელზე. ჩაითვ გაუქმ.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტი № 28 საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1922 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვე-განყოფილება აცხადებს რომ მოქ. შარამ საგინაშვილმა შემოიტანა განცხადება მის გვარის საგინაშვილის-ტყეზელ შეცვლის შესახებ.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტი № 28 საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1922 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვე-განყოფილება აცხადებს რომ მოქ. ნატელა უშაკ ჯეიბას ძე გინაშუკაშვილმა შემოიტანა განცხადება ანატელი ჯეიბას ძე გინაშუკაშვილ შეცვლის შესახებ.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტი № 28 საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1922 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვე-განყოფილება აცხადებს რომ მოქ. ივანე ჯანაყის ძე ტარაკანაშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის ტარაკანაშვილ ჯანაყის ძე შეცვლის შესახებ.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტი № 28 საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1922 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვე-განყოფილება აცხადებს რომ მოქ. იოსებ სიმონის ძე ნოდარტყეზელმა შემოიტანა განცხადება მის სახელის ადექსანდრე სიმონის ძე ნოდარტყეზელ შეცვლის შესახებ.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტი № 28 საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1922 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვე-განყოფილება აცხადებს რომ მოქ. ივანე სიმონის ძე დენისაშვილმა შემოიტანა განცხადება მის გვარის დენისაშვილის ჯანაყის ძე შეცვლის შესახებ.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერი მაგილა აცხადებს, რომ აბუსალომ ზაფაქს ძე ცუხიშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის სუხაშვილზე შეცვლის შესახებ.

დაიპარკა დავთარი № 1175—280 ახალციხის შესახვევში მდ. სახლის მდგმურთა ვინაობისა, მიღებული ცენტრალურ სამსამართლო მაგიდიდან 1922 წ. იანვარში გიორგი თევდორეს ძე ნარმიანიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (უ—1).

თანახმად 68 § მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 29 აპრილის ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერი მაგილა აცხადებს, რომ ჯეიბას გინაშვილის ძე თაზიშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის თაზიშვილის — ზეტრიაშვილზე შეცვლის შესახებ.

თანახმად 68 მუხ. დეკრეტი № 28 საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1922 წ. 28 აპრ. ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვე-განყოფილება აცხადებს, რომ მოქ. ჯეიბას აბუსალომის ძე ბუღუგაშვილმა შემოიტანა განცხადება მის გვარის ბუღუგაშვილ-ამილახვანზე შეცვლის შესახებ.

თანახმად 68 მუხლის დეკრეტის № 28 საქართველოს რევოლიუცი. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის მოქ. მდგომარ. აქტ. ჩაწერის ქვე-განყოფილება აცხადებს რომ მოქ. ვასილი ჯანაყის ძე ტარაკანაშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის ტარაკანაშვილ ჯანაყის ძე შეცვლის შესახებ.

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერი მაგილა აცხადებს, რომ ნინა ანატოლიას ასულმა გიტლინაშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის გიტლინის რუდნაჭისკაიასზე შეცვლის შესახებ.

წინანდლის უბნის სახალხო მოსამართლე, მოიწვევს შარამ ილიას ასულს ჯანდიერისას გამოცხადოს ხსენებულ სასამართლოში სოფ. წინანდალში (თელავის მაზრა) თავისი მისამართი, რა მისამართზედაც უნდა ვაგვზავნოს მას უწყებები გიორგი ჯეიბას ძე ჯანდიერთან განქორწინების საქმეზედ. უკეთუ ერთი თვის განმავლობაში არ გამოაცხადებს მისამართს უწყებები ვაგვზავნება აღგილობრივ მილიციაში გამოსაფენათ.

სახალხო მოსამართლე ბ. ივალაძე.
მდივანი გ. ნარკელიშვილი.

დაიპარკა მეტრიკული ამონაწერი № 3 მიღებული 1918 წ. სინოდ. კონტორიდან ნიკიფორე (ტრაიფან) თეიმურაზის ძე კატარაის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარკა მეტრიკული ამონაწერი № 3389 მიღებული 1899 წ. სომეხთა კონსისტორიიდან გიგლო შესრფის ძე შესრფის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.



შ ი ნ ა ა რ ს ი

მე-50-ე №-ში მოთავსებული მასალები:

ცენტრ. აღმსრ. კომიტეტი.

- 1) დადგენილება № 35 სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის ხმარების შესახებ.
- 2) დადგენილება № 37 სასამართლოს და პროკურატორის მომუშავეთა დატუსაღების შესახებ.
სსს. კომისართა საბჭო.
- 3) დეკრეტი—კომისართა საბჭ. დეკრეტის № 16 შეცვლისა და დამატების შესახებ.
- 4) დეკრეტი—მატყლის მონოპოლიის გაუქმების შესახებ.
- 5) დადგ. № 81 საუწყებთა შორის კომისიების სხდომების ექსპერტთა და მონაწილეთა სასყიდლის შესახებ.
- 6) დადგ. № 82 საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დებულების შესახებ.
- 7) დადგ. № 83 ვინაობის წიგნაკების შემოღების შესახებ.

- 8) დადგ. № 84 1923 წ. შრომისა და შარავითო ტვირთზიდვის ხარკის გატარების წესის შესახებ.
- 9) დადგ. № 85 ყველა საპატიმრო აღვილის შინაგან საქმ. სახ. კომისარიატის გაგებლობაში გადაცემის შესახებ.
- 10) დადგენილება № 87 ადგილობრივ გადასახადთა შესახებ გამოც. დებულ. ზოგიერთი მუხ. შეცვლის შესახებ.
- 11) ბრძანება № 7 მიწების მოსარწყავად წყლით სარგებლობისათვის გადასახდის შეტანის მუხ. შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

- 12) ცირკულიარები (17 ცირკ.).
- 13) ბრძანება მილიციისადმი № 28.
- 14) დადგენილება—აღმ. გადავიჯვისის შესახებ.
ა/კ. მ. გ. ინსპექცია.
- 15) ცირკულიარი.

